„რეკომენდებულია აჭარის ა.რ ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის მიერ“

მოგესალმებით!

ყოველთვის, როცა ჩვენი რეგიონის ტურისტული პოტენციალის შესახებ ვსაუბრობ, სოფლის ტურიზმის განვითარებას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებ. ვფიქრობ, ტურიზმის ეს მიმართულება აჭარაში მართლაც ერთ-ერთი ყველაზე მიმზიდველი და საინტერესოა. სოფლის ტურიზმისადმი გაზრდილ ინტერესზე მეტყველებს აჭარის სოფლებში უცხოელი ვიზიტორების ზრდის არსებული სტატისტიკაც.

მიხარია, რომ აჭარის რეგიონს შეუძლია იამაყოს სამთო-სათხილამურო ტურიზმის, ეკოტურიზმის, გასტრონომიული ტურიზმისა და სათავგადასავლო ტურიზმის პოტენციალით, რომლებიც ერთიანობაში რეგიონში სოფლად ტურიზმის განვითარების პერსპექტივებს ქმნიან. როგორც აჭარის მთავრობის თავმჯდომარეს, ხშირი შეხვედრები მაქვს მაღალმთიანი აჭარის მოსახლეობასთან და ვხედავ რაოდენ დიდია მათი ინტერესი ტურისტული ინდუსტრიის განვითარებაში ჩართვისა და მონაწილეობისადმი. სწორედ ამიტომ, აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის მიერ სოფლის ტურიზმის განვითარებისათვის განხორციელებული პროექტები ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენთვის. მნიშვნელოვანია ასევე,

მაღალმთიან აჭარაში მდებარე სამთო-სათხილამურო კურორტების - „გოდერძისა“ და „გომარდულის“ ინფრასტრუქტურისა და სერვისების განვითარება, რაც სულ მალე ოთხივე სეზონის ტურისტებს მოიზიდავს როგორც საკურორტო ზონებში, ისე მთლიანად მაღალმთიან აჭარაში, რომელიც ასე საინტერესოა თავისი ისტორიული წარსულით, უნიკალური ფოლკლორით, უგემრიელესი სამზარეულოთი და თვითმყოფადი კულტურით. სწორედ ეს არის ჩვენი სოფლის, ჩვენი რეგიონისა და ქვეყნის სიმდიდრე. სოფლის ტურიზმის განვითარება სოფლად დასაქმებულთა რაოდენობის ზრდას, მაღალმთიან აჭარაში სტუმარმასპინძლობის ინდუსტრიის განვითარებას, სოფლის მეურნეობის და ეკონომიკის წინსვლას ნიშნავს. მჯერა, აჭარაში ჩამოსული ტურისტებისათვის მთიანი აჭარა და სოფლად ტურიზმი სულ მალე ერთ-ერთი ყველაზე პრიორიტეტული მიმართულება გახდება.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
მთავრობის თავმჯდომარე
ზურაბ პატარაძე

მოხარული ვარ, მოგესალმოთ აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის სახელით. ჩვენი მთავარი მიზანია აჭარა გავხადოთ ოთხივე სეზონზე ტურისტებისთვის მიმზიდველი ადგილი. მიზნის მიღწევას ზღვასთან ერთად, მთიანი აჭარის ეკოტურისტული, გასტრონომიული, სამთო-სათხილამურო და სათავგადასავლო მარშრუტების გამოყენებით ვგეგმავთ.

მაღალმთიანი აჭარა არის ადგილი, სადაც უნიკალურად არის დაცული უძველესი ქართული ტრადიციები და ფოლკლორი. ეს გარემოება გვაძლევს საშუალებას, ტურისტებსა და ვიზიტორებს გავაცნოთ ჩვენი ქვეყნის ისტორიის, კულტურის, ფოლკლორის საოცარი ნიმუშები, რაც ჩვენს რეგიონს ტურისტებისთვის კიდევ უფრო მიმზიდველს გახდის.

ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევების თანახმად, რეგიონში ჩამოსული ტურისტები საზღვაო ტურიზმთან ერთად, დიდ ინტერესს სწორედ მაღალმთიანი აჭარის ტურისტული მარშრუტების მიმართ ავლენენ. ხელისუფლების მიერ დაგეგმილი ღონისძიებები კი მიმართულია იქითკენ, რომ რაც შეიძლება მალე მოვაწესრიგოთ ინფრასტრუქტურა მთაში, სასტუმრო სახლებისა და სხვა ტურისტული ობიექტების მეპატრონეებს კი მივაწოდოთ მაქსიმალური ინფორმაცია ტურისტულ ინდუსტრიაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით. ჩვენი გეგმების განხორციელების საუკეთესო საშუალებად გვესახება, სემინარებისა და სატრენინგო სწავლებების გამართვა ყველა იმ საკითხში, რომლის გარეშეც ტურისტული ინ-

დუსტრიის ფუნქციონირება წარმოუდგენელია. აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის არჩეული გზა ამ მიმართულებით ეყრდნობა კვლევებსა და გამოცდილებას. ვთვლით, რომ ტურიზმში პროგრესისთვის, განათლებას და ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას ალტერნატივა არ გააჩნია და მას აუცილებლად ექნება შედეგი.

იმედს გამოვთქვამთ, დაინტერესებული საზოგადოების ფართო ჩართულობითა და აქტიურობით, დადგება ის შედეგი, რომელიც ტურიზმს სოფლად საინტერესოს და ადგილობრივი მოსახლეობისთვის კიდევ უფრო შემოსავლიანს გახდის.

აჭარის არ ტურიზმისა და კურორტების
დეპარტამენტის თავმჯდომარე
სულხან ღლონტი

სოფლის ტურიზმის განვითარება აჭარის რეგიონში

ტურიზმი ცოცხალი ორგანიზმია და იგი ყოველწლიურად ვითარდება. ტურიზმში ჩართულ სხვადასხვა ორგანიზაციებს ხშირად უწევთ იმაზე ფიქრი თუ ტურიზმის რომელი მიმართულება იქნება უახლოესი მომავლისათვის აქტუალური და რა ფორმით შესთავაზონ ის ტურისტებს, ხშირ შემთხვევაში, გარემო ფაქტორები თავად კარნახობენ იმ ტენდენციებს და სერვისებს, რომლებიც ყველაზე აქტუალური იქნება მომდენო დეკადის განმავლობაში.

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში სოფლის ტურიზმის პოპულარობა განსაკუთრებით გაზრდილია. თანამედროვე და ხმაურიანმა ცხოვრების სტილმა, ყოველდღიურმა დამღლელმა რუტინამ ურბანულ ზონაში მაცხოვრებლებს, განსაკუთრებით კი დი-

დი ქალაქების მკვიდრთ, უბიძგა დროის რაღაც ნაწილი გაატარონ სოფლად, სადაც მათ დახვდებათ ხელუხლებელი ბუნება, ეკოლოგიურად სუფთა გარემო, ჯანსაღი ბიო პროდუქტები, მეგობრული და ოჯახური გარემო, ტრადიციები და განსხვავებული კულტურა, რაც მათ დასვენებას უფრო სრულყოფილს და შთამბეჭდავს გახდის.

სოფლის ტურიზმი რამდენიმე სხვადასხვა მიმართულებად შეიძლება დავყოთ, თითოეული მათგანი მჭიდროდაა დაკავშირებული ერთმანეთთან და ხშირ შემთხვევაში სასარგებლოდ იკვეთებიან, რათა ტურისტებმა თავიანთი სრულყოფილი დასვენებისთვის მომსახურების სრული პაკეტი მიიღონ.

გთავაზობთ რამდენიმე მათგანის მოკლე აღწერას, რომელიც ქართული სოფლის ტურიზმისთვისაც დამახასიათებელია და მას სამომავლოდ უფრო მეტი დახვეწა და განვითარება სჭირდება.

სპეციალიზებული და სათავგადასავლო ტურიზმი ყველაზე სწრაფად ვითარდება. მათ მოყვარულ ტურისტებს სხვადასხვა გატაცებები შეიძლება ჰქონდეთ, ვიწრო სამეცნიერო დარ-

გით დაწყებული, როგორიც არის არქეოლოგია და ფრინველებზე დაკვირვება, სხვა უფრო ფართოდ გავრცელებული აქტივობებით, მაგ. ალპინიზმი, ლაშქრობა, ჯომარდობა, ნადირობა, თევზაობა და კიდევ სხვა დამთავრებული. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია არსებობდეს სხვადასხვა სახის ტურისტული გზამკვლევები, მარშრუტები და რუკები, რათა ტურისტმა გარემოში მაქსიმალურად შეძლოს ორიენტაცია და ამასთანავე მიიღოს საჭირო ინფორმაცია.

უაღრესად მნიშვნელოვანია დასახელებული მიმართულებით კვალიფიციური გიდების არსებობა, რომლებიც ზედმიწევნით კარგად იცნობენ ადგილობრივ რელიეფს, გარემო პირობებს და ყოფა-ცხოვრებას. აუცილებელია, უსაფრთხოების მაღალ დონეზე დაცვა, რათა სათავგადასავლო ტურიზმით გატაცებული ადამიანების შესაძლო დაზიანების რისკები მინიმუმამდე შემცირდეს.

აგრარული ტურიზმი ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მიმართულებაა, რადგან იგი ითვალისწინებს ტურისტების განთავსებას ადგილობრივი ტრადიციებით აგებულ სახლებში, სადაც ისინი იკვებებიან ადგილობრივი წარმოების ჯანსაღი პროდუქტებით და ჩართულნი არიან სოფელში არსებულ სამეურნეო საქმიანობაში. ეს მიმართულება უაღრესად მნიშვნელოვანია, რადგან სოფლის მაცხოვრებლები უშუალოდ არიან ბიზნესოპერატორები, ისინი იქვე ქმნიან სამუშაო ადგილებს და ტურისტების მიერ გაწეული დანახარჯებიდან იღებენ პირდაპირ ფინანსურ სარგებელს.

სასოფლო ტურიზმის წარმატებული განვითარება არ საჭიროებს მსხვილ ინვესტირებას, მაგრამ აუცილებელია სწორი კოორდინაცია, რაც მოიცავს მათთვის მიმდინარე ტენდენციების გაცნობას, დაგეგმარებაში დახმარებას, ობიექტების მომსახურების შესახებ სპეციალურ სწავლებას და სხვა.

ფერმერული ტურიზმი თითქმის იგივეა, რაც სასოფლო ტურიზმი, ისიც დიდი პოპულარობით სარგებლობს ტურისტებში და შესაბამისადაც სწრაფადაც ვითარდება. აღნიშნული სახეობის ტურიზმის მოყვარულებს შეუძლიათ განთავსდნენ ფერმებში, ან იქვე მდებარე სტუმრებისათვის განკუთვნილ ცალკე განთავსების ობიექტებში, რომლებიც ღამისთევასთან ერთად მოიცავს კვებით მომსახურებასაც. ტურისტებს საშუალება აქვთ გაეცნონ, ან მონაწილეობა მიიღონ, ადგილზე სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში. ზოგიერთი ფერმერი თავის ტერიტორიაზე სერვისების მრავალფეროვნებისათვის სპეციალურად აწყობს კემპინგებს და ტურისტებს თევზაობისა და ნადირობის საშუალებას აძლევს. ტურისტებს შეუძლიათ ფერმის ტერიტორიები გამოიყენონ ბაზებად, საიდანაც ლაშქრობები მოეწყობა. მეთევზეთა დასახლებებში ადგილობრივ მცხოვ-

რებთ შეუძლიათ ტურისტებს მისცენ საცხოვრებელი და მონაწილეობა მიაღებინონ თევზაობაში.

ტურიზმის ამ სახეობის ორგანიზებისათვის შეიძლება ტექნიკური დახმარება გახდეს საჭირო.

ეკოტურიზმის უმთავრესი პრინციპია იმ ტურისტების არსებობა, რომლებსაც გარემოსადმი თავიანთი პასუხისმგებლობა მკაფიოდ აქვთ გათვიცნობიერებული და მაქსიმალურად იცავენ ეკოსისტემას დაზიანებისაგან. ასეთი ტურების მიზანია ველურ ბუნებასთან ურთიერთობა. ეკოტურიზმს მინიმუმამდე დაჰყავს გარემოზე ეკოლოგიური და კულტურულ-სოციალური ხასიათის უარყოფითი ზეგავლენის შედეგები, ხელს უწყობს დაცული ტერიტორიებისა და რეგიონების მოსახლეობის ეკონომიკური შემოსავლების ზრდას. ეკოტურისტები შეიძლება იყვნენ ტყის მოყვარულები და აკვალანგისტები, რომლებსაც წყალქვეშა სამყარო აინტერესებთ, ასევე ფრინველების ან ცხოველებისმოყვარულნი.

ტურიზმის ეს სახეობა პოპულარულია ტურისტთა იმ კატეგორიებს შორის, რომლებსაც სურთ მიიღონ მეტი ინფორმაცია ადგილობრივ ეკოსისტემაზე, ეკოკულტურაზე და მათთვის მნიშვნელოვანია გარემოს დაცვის საკითხები. ტურიზმის ეს სახეობაც არ სა-

ჭიროებს მსხვილ კაპიტალს, მაგრამ აქაც იჩენს თავს კვალიფიციური გიდების არასაკმარისი რაოდენობის საკითხი, რადგან იმ ადგილებში, სადაც ტურისტები მოძრაობენ, საჭიროა ბუნების დაცვის მკაცრი პრევენციული ზომების გატარება.

აჭარის არ ტურიზმის და კურორტების დეპარტამენტის მუშაობის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება სოფლის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობაა. 2011 წლიდან დღემდე ხორციელდება სხვადასხვა სახის აქტივობები, კერძოდ, სისტემატიურად ხდება სოფლებში არსებული ტურისტული მეუნეობების პოტენციალისა და საქმიანობების შესწავლა, იქმნება სოფლად არსებული ტურისტული მეურნეობების ბაზები, რომელთაც უკვე აქვთ ტურისტების მიღების გამოცდილება.

ტარდება ტრენინგები ტურისტული მეურნეობების მეპატრონეებისათვის, აჭარის სოფლებში ტურისტების თავისუფლად გადად-

გილების უზრუნველსაყოფად მონტაჟდება ტურისტული ნიშნულები, ყოველწლიურად გამოიცემა სოფლის ტურიზმის სარეკლამო ბროშურები, რომელიც ვრცელდება როგორც საქართველოს შიგნით, ასევე სხვადასხვა საერთაშორისო ტურისტულ გამოფენებზე და ბაზრობებზე.

გასულ წლებში შეიქმნა ეკო ტურისტული რუკა და შემუშავდა ის ტურისტული მარშრუტები, რომლებზეც გასვლა აჭარის სოფლებში ჩასულ სტუმრებს შეეძლებათ. ტარდება სხვადასხვა სახის ფესტივალი, რომელიც უშუალოდ მიმართულია სოფლად არსებული ტურისტული პოტენციალის წარმოსაჩენად. უკვე საკმაოდ დიდი პოპულარობით სარგებლობს სოფლის ფესტივალი „განდაგანა“, რომელიც ტურისტული პროდუქტის განვითარების სააგენტოს ორგანიზებით ტარდება. ასევე აღსანიშნავია ფრინველებზე დაკვირვების ფესტივალი, რომელიც წელს უკვე მეშვიდედ ტარდება აჭარაში და რომელიც ასევე აღნიშნული სააგენტოს ორგანიზებით ტარდება.

სოფლის ტურიზმის განვითარება უაღრესად მნიშვნელოვანია აჭარის რეგიონის ტურისტული პოტენციალის დივერსიფიცირებისათვის. ამ მიმართულებას უდიდესი მომავალი აქვს, რადგან აჭ-

არას, რამდენიმე წლის პერსპექტივაში, ყველა რესურსი გააჩნია, ტურიზმის ეს მიმართულება საზღვაო ტურიზმთან ერთად, მნიშვნელოვანი კონტრიბუტორი გახდეს რეგიონის განვითარებაში. სწორი განვითარებისათვის აუცილებელია გათვალისწინებული იქნას უცხოური გამოცდილება, ჩასატარებელი ღონისძიებები დაიგეგმოს იმგვარად, როგორც ამას ჩვენი მეგობარი და პარტნიორი უცხოური ორგანიზაციები გვირჩევენ. ამ მხრივ კი საქართველოს ძალიან დიდი მხარდაჭერა აქვს ევროპული ორგანიზაციებისგან. აჭარის რეგიონი 2015 წელს უკვე გახდა სოფლის ტურიზმის ევროპული ფედერაციის „EUROGITES" ასოცირებული წევრი.

ეს მნიშვნელოვანი ფაქტია, რადგან აღნიშნულ ევროპულ ინსტიტუციას უდიდესი გამოცდილება გააჩნია და მათი რჩევების, რეკომენდაციების და პრაქტიკის გაზიარება აჭარის სოფლის ტურიზმის განვითარებისათვის უმნიშვნელოვანესია. ფედერაციაში გაწევრიანებულია ევროპის 27 ქვეყნის 35 პროფესიული ორგანო. ფედერაცია წარმოადგენს დაახლოებით 500 000 მცირე ტურისტულ საწარმოს, რომლებიც 5-დან 6,5 მილიონამდე საწოლ ადგილს ითვლის.

„EUROGITES" გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში ჩამოყალიბდა, მას მკაცრად განსაზღვრული სტრუქტურა, მიზნები და სამოქმედო გეგმა გააჩნია. ორგანიზაციის მიზანი ევროპაში სოფლის ტურიზმის ხელშეწყობაა და მისი საქმიანობაც ამ მიზნის მისაღწევად აუცილებელ ღონისძიებებს მოიცავს. სოფლის ტურიზმის პროდუქტები, რომელსაც ორგანიზაცია პოპულარიზაციას უწევს მოიცავს რამდენიმე ძირითად კომპონენტს: განთავსება ფერმერულ მეურნეობაში ან სოფლად არსებულ სასტუმრო სახლში სერვისით B&B (ღამისთევა და საუზმე) და თვითმომსახურებას მყუდრო საოჯახო სახლებში, საოჯახო ტიპის სასტუმროებში, ფერმერულ მეურნეობებში, პანსიონებში და სასტუმროებში. დასვენების ეს სახეობა ასევე მოიცავს საოჯახო საქმეებში და ფერმერულ მეურნეობებში ჩართულობას, ტრადიციულ სამზარეულოს, ადგილობრივ კვების ობიექტებს, გართობას და აქტიურ დასვენებას ქალაქის ხმაურისაგან მოშორებით. დღეისათვის სოფლის ტურიზმის პროცენტული წილი ევროპის საერთო ტურისტული პოტენციალის 15%-ს მოიცავს, რაც გულისხმობს, რომ შეთავაზებული 5-დან 6,5 მილიონი ადგილი სრულად იქნება ათვისებული, ხოლო სწორი მენეჯმენტის განვითარების პირობებში აღნიშნულ მიმართულებას აქვს პოტენციალი უფრო დიდ მასშტაბებზე გავიდეს.

ორგანიზაციის მიერ ჩატარებული კვლევების საფუძველზე დადგინდა, რომ სოფლის ტურიზმის განვითარება ხელს უწყობს სამუშაო ადგილების შექმნას და დასაქმებას. ბოლო მონაცემებით ტურიზმის ამ სახეობას, პირდაპირ თუ ირიბად მყოფი 900 000-ზე მეტი სამუშაო ადგილის შექმნა უკავშირდება, ხოლო საერთო შემოსავალი სასოფლო ტურიზმიდან ევროპის მასშტაბით 180.000 მილიონ ევროს აჭარბებს. ორგანიზაცია „EUROGITES" და აჭარის არ ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტს აქტიური კომუნიკაცია გაუაჩნიათ.

სამომავლოდ განიხილება ორგანიზაციის სხვადასხვა აქტივობები აჭარაშიც დაიგეგმოს. აღნიშნულ საკითხზე მიმდინარეობს მათთან მოლაპარაკებები და იმედი გვაქვს ის წარმატებული იქნება. ორგანიზაციის წევრობა მნიშვნელოვანია აჭარის რეგიონისათვის,

რადგან სოფლის ტურიზმის განვითარებასთან ერთად აუცილებლად წამოიჭრება მომსახურების ხარისხის და სტანდარტების დამკვიდრების საკითხიც, რაშიც მათი დახმარება და გამოცდილების გაზიარება მნიშვნელოვანია.

საბედნიეროდ საქართველოში უკვე არსებობს ორგანიზაცია, რომელმაც წლების წინ დაიწყო აღნიშნული მიმართულებით მუშაობა. ეს ნიშნავს, რომ ქვეყანაში უკვე დაგროვილია გარკვეული საბაზისო გამოცდილება, რომელიც დადებითი იმპულსის მიმცემია დარგის სწორი განვითარებისთვის.

ეს ორგანიზაცია გახლავთ ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანა“, რომელმაც 2006 წელს დაიწყო პროექტის „საქართველოში ტურიზმისა და სოფლის განვითარება“ განხორციელება. პროექტის ფარგლებში ორგანიზაციამ შეიმუშავა სოფლად არსებული სასტუმრო სახლების სტანდარტები, რომელიც „EUROGITES“ მოთხოვნებს ემყარება და ამდროულად, სრულად შეესაბამება სტანდარტიზაციისა და სერტიფიკაციის სფეროში საქართველოს კანონმდებლობას. ასოციაცია „ელკანას“ სტანდარტის მიღება ნებაყოფლობითია სოფლად არსებული საოჯახო სასტუმრო სახლის

მეპატრონეთათვის. „ელკანას“ სოფლად ტურიზმის ქსელი ყოველწლიურად იზრდება, რაც განპირობებულია იმით, რომ ტურისტული მეურნეობებისა და სოფლად არსებული საოჯახო სასტუმრო სახლების მეპატრონეებს მზარდი ინტერესი აქვთ საერთო ევროპულ სტანდარტებს დაუახლოვონ მათი ინფრასტრუქტურა, გააუმჯობესონ მომსახურების ხარისხი და აიმაღლონ ცოდნა აღნიშნულ დარგში.

სტანდარტი ეხება იმ სასტუმრო სახლებს, რომელთა საქმიანობის ძირითადი მიმართულება სოფლად ტურიზმია. სტანდარტი გულისხმობს სასტუმრო სახლების ოთხ კატეგორიად დაყოფას, რომელთაგან მომსახურების მინიმალურ მოთხოვნებს შეესაბამება კატეგორია „სტანდარტი - S“, ხოლო მომსახურების შედარებით მაღალი ხარისხის სასტუმრო სახლები შეფასდება სიმბოლური ნიშნით „მზე“ (ერთიდან სამამდე) - მზის სიმბოლოთა რაოდენობა მომსახურების ხარისხის მატებასთან ერთად იზრდება. მსგავსი სტანდარტების დანერგვა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას, თუმცა საწყის ეტაპზე საჭიროა აჭარის რეგიონის ყველა მუნიციპალიტეტის განთავსების ობიექტების თა-

ნაშრომლები გადამზადდნენ და მათ გაეწიოთ სწორი კონსულტირება და მიეწოდოთ იმ სახის ინფორმაცია, რომელიც ხელს შეუწყობს მათი ტურისტული ობიექტების სწორად ფუნქციონირებას.

ასევე აუცილებელია მუნიციპალიტეტებში, ადგილზე არსებული კვების ობიექტების წარმომადგენლებისათვის ჩატარდეს მსგავსი სახის ტრენინგ-სწავლება, რომელიც მომსახურების ხარისხზე იქნება ორიენტირებული და მნიშვნელოვან გამოცდილებას შესძენს მათ ტურისტებთან ურთიერთობისას. სწორედ ამ გამოწვევის გასამკლავებლად გადაწყდა აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტში შექმნილიყო ტურიზმის განვითარების სკოლა, რომელიც ძირითადად ფოკუსირებული იქნება სოფლის ტურიზმში ჩართული ადამიანების სწავლების და მათთვის საჭირო თემატიკაზე კონსულტირების მიმართულებით. მიმდინარე წელს უკვე დაგეგმილია აჭარის ყველა მუნიციპალიტეტში ადგილზე ჩატარდეს განთავსების და კვების ობიექტების 200 წარმომადგენლისათვის ტრენინგი. შემდგომ წლებში კი აღნიშნული პროექტი აუცილებლად გაგრძელდება.

მაღალმთიან აჭარაში ვიზიტორების რაოდენობა 107%-ით გაიზარდა

აღსანიშნავია, რომ 2016 წლის მონაცემების მიხედვით სოფლის ტურიზმის მიმართულებით ვიზიტორთა მკვეთრი მატებაა რეგიონში, კერძოდ, გასულ წელთან შედარებით მონაცემი 107%-ით არის გაზრდილი. აღნიშნული ტენდენცია კი მრავლისმეტყველია.

2016 წლის განმავლობაში მაჭახელას, ხიხანისა და ქედის ტურისტული მარშრუტები ვიზიტორებსა და ტურისტებს შორის განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა. უფრო კონკრეტულად თუ ვიმსჯელებთ სურათი შემდეგნაირია:

ქედის მუნიციპალიტეტი: 99%-ით მეტი ვიზიტორი.

ხულოს მუნიციპალიტეტი, სოფელი ხიხაძირი: 113%-თ მეტი ვიზიტორი.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი, მაჭახელას ხეობა: 244%-ით მეტი ვიზიტორი.

ვიზიტორების მატებას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი აღნიშნული მიმართულებით მარშრუტების შექმნამ, მარკირებამ და შესაბამისი რუკების და საინფორმაციო ბუკლეტების შექმნამ. მნიშვნე-

ლოვანი ფაქტორია ისიც, რომ მარშრუტების კვალდაკვალ გაიზარდა საოჯახო-სასტუმრო სახლების რაოდენობაც. 2016 წელს ტურისტებს 20-ზე მეტი სასტუმრო-საოჯახო სახლი ემსახურებოდა, რაც 33%-ით მეტია 2015 წლის ანალოგიურ მონაცემებთან შედარებით. ვიზიტორების რაოდენობა 52%-ით გაიზარდა მაღალმთიან აჭარაში არსებულ მუზეუმებშიც. ჩხუტუნეთის, ქედისა და სელიმ ხიმშიაშვილის სახელობის მუზეუმებს წლის განმავლობაში 13 628 ვიზიტორი სტუმრობდა. საერთო ჯამში კი ამით სარგებელი ნახეს უშუალოდ მუნიციპალიტეტებში განთავსებულმა კვების ობიექტებაც. აღნიშნულ მარშრუტებზე აჭარის არ ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტთან არსებულმა ტურისტული პროდუქტების განვითარების სააგენტომ 2016 წლის განმავლობაში ორგანიზება გაუწია 18 ინფოტურს, რომლის ფარგლებშიც იქ არსებულ ტურისტულ პოტენციალს ტურისტული სააგენტოს და მასმედიის 300-ზე მეტი წარმომადგენელი გაეცნო. აღნიშნული მარშრუტების მიმართულებით გადამზადდა 18 გიდი.

სოფლის ტურიზმის მიმართულებით 2017 წლის განმავლობაში დაგეგმილია ხუთი ახალი ეკო და სოფლის ტურისტული პროდუქტის განვითარება, რაც გულისხმობს მათ მარკირებას და სათანადო რუკებისა და ბროშურების დამზადებას. დაგეგმილია ასევე მაღალმთიანი აჭარის მიმართულებით 50-მდე გიდის გადამზადება და ათი საინფორმაციო-გაცნობითი ტურის ორგანიზება გიდებისა და ტურისტული სააგენტოებისთვის. ტრადიციულად გაიმართება სოფლის ტურიზმის ფესტივალი „განდაგანა“ და ფრინველებზე დაკვირვების ფესტივალიც.

2017 წელი სოფლის ტურიზმის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი წელია. აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი წლის განმავლობაში კიდევ ბევრ სიახლეს გეგმავს სოფლის ტურიზმის განვითარებისათვის.

კონტაქტი:

აჭარის ა.რ ტურიზმისა და
კურორტების დეპარმტანეტი
მისამართი: ფარნავაზ მეფის ქ. 84/86,
ბათუმი, საქართველო
მობილური: 577 90 90 52
ტელეფონი: 0 422 27 47 02
ელ-ფოსტა: info@recommend.ge
ვებ-გვერდი: www.recommend.ge

ბათუმი
აჭარა

2017 წელი | კვარტალი